ხელშეკრულება 13/12/2019
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ერთის მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო (შემდგომში-შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორი გელა კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ **ი/მ მამუკა ხაჩიძე (პ/ნ:59001018495)** (შემდგომში-მიმწოდებელი) **გამარტივებული შესყიდვების საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მე-5 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულებას) შემდგომზე:**

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. 300 ცალი საახალწლო სასაჩუქრე ჭიქის შესყიდვა, ერთეულის ღირებულება 3 (სამი) ლარი, cpv-18530000-საჩუქრები და ჯილდოები.

2.ხელშეკრულების ღირებულება

21 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) **ლარს.**
2.2 ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
2.3 დაფინანსების წყარო: 2019 წლის საკუთარი ბიუჯეტი.
2.4 საფუძველი: მოხსენებითი ბარათი №1072

3.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება: **2019 წლის 13 დეკემბერი**
4.2. საქონლის მიწოდების ადგილი **ქ. გორი, სტალინის №16**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.
5.2 მომსახურების მიღება-ჩაბარებას, ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური დარგის მთავარი სპეციალისტი-გიორგი ქარელი.

6.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
6.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
6.4 მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება განახორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურისა ან ზედნადების საფუძველზე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1.შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
7.2.შემსყიდველს უფლება აქვს: განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
7.3.შემსყიდველი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

მამუკა ხაჩიძე

7.4.მიმწოდებელს უფლება აქვს :მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.5.მიმწოდებელი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების **0,02 %** ის ოდენობით.

9.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება იმ თარიღში, როდესაც მეორე მხარე დამოწმების /დადასტურების მას ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით და 2 თვით აღამეტება ხელშეკრულების შესრულების ვადას.

10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

11 ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 2019 წლის 1 იანვრიდან, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველები/პრეტენდენტები/მიმწოდებლები „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე ვალდებულები არიან, სახელმწიფო შესყიდვებში ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ ელექტრონულ დოკუმენტებზე შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები დაამოწმონ კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
	59001018495
(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითრების ხელშეწყობის სააგენტო	ი/მ მამუკა ხაჩიძე
მის. ქ. გორი, მშვიდობის გამზ. №12ა	მის: ქ. გორი, გურამიშვილის ქუჩა №88
ს/კ: 418471031	პ/ნ: 59001018495
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
ბ/კ: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
სახაზინო ანგარიში: 3504100000	ა/ა: GE69TB7383336010300021

შემსყიდველი	მიმწოდებელი
Gela Kapanadze Digitally signed by Gela Kapanadze Date: 2019.12.13 10:45:13 +04'00'	

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191506879
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.12.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**თინათინ მიჩიტაშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. გორი, დ.ამილახვრის ქ. № 30/1**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591 707 898
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	49829608807519

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება

ორიათას ცხრამეტი წლის ცამეტ დეკემბერს მე, ნოტარიუსი თინათინ მიჩიტაშვილი ჩემს სანოტარო ბიუროში (მდებარე ქ. გორი, დ. ამილახვრის ქ. №30/1) ვადასტურებ **მამუკა ხაჩიძის** (პირადი №59001018495, დაბადებული 22.12.1971წ. გორი) ხელმოწერის ნამდვილობას სანოტარო წესით, მის მიერ წარმოდგენილ **ხელშეკრულებაზე 13/12/2019 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.** პირადობა დადგენილია მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ნების გამოვლენის ნამდვილობა და ქმედუნარიანობა დადგენილია. მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მისი უფლებამოსილება შემოწმებულია. მან დაადასტურა, რომ ეთანხმება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის შინაარსს. ხელმოწერა შესრულებულია მის მიერ პირადად ჩემი, ნოტარიუს თინათინ მიჩიტაშვილის თანდასწრებით. ვადასტურებ ზ/აღნიშნული ხელმომწერი პირის ხელმოწერის ნამდვილობას. ასევე განვუმარტე, რომ ნოტარიუსი ამოწმებს მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობას და არ ადასტურებს მასში მოყვანილ ფაქტებს და პასუხს არ აგებს მათ სისწორეზე და შინაარსზე. შედგენილია ორ ეგზემპლიარად, შედგება სამი გვერდისაგან.

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საზღაური გადახდილია თორმეტი ლარი, თანახმად, საქართველოს მთავრობის, დადგენილება #507-ისა 29.12.2011 წლის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, მუხლი 31-ე, დღგ 2.16 (ორი ლარი და თექვსმეტი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის და ორი ლარი რეგისტრაციის საფასური 39 მუხლის პირველი პუნქტისა. სულ გადახდილია 16.16 (თექვსმეტი ლარი და თექვსმეტი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი თინათინ მიჩიტაშვილი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის ხელშეწყობის განვითარების სააგენტო

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

მიმწოდებელი: ი/მ მამაუკა ხაჩიძე (პ/ნ: 59001018495)

ხელშეკრულება: N-13/12/2019

იტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების" **მე-8 მუხლის ,,ინტერესთან კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები"შესაბამისად** ვადასტურებთ, რომ **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითრების ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ:418471031)** თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

სააგენტოს დირექტორი **გელა კაპანაძე**

Gela Kapanadze Digitally signed by Gela Kapanadze Date: 2019.12.13 10:45:49 +04'00'

შესყიდვის მენეჯერი: **სოფიკო ჭილაშვილი**

Sopiko Tchilashvili Digitally signed by Sopiko Tchilashvili Date: 2019.12.13 10:46:38 +04'00'